საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე სკილიცე

იოანე სკილიცე (Iōannēs Skylitzēs), XI ს. ბიზანტიელი ქრონისტი, მეტსახელად „თრაკესიელი". დაწერილი აქვს „ისტორიული მიმოხილვა" 811–1079 ამბებისა. თხზულების ძირითადი ნაწილი (811–1059) შესულია გიორგი კედრენეს ისტორიულ მიმოხილვაში (ი. ს-ს შრომის სრული ბერძნ. ტექსტი ჯერ გამოვლენილი არ არის), ხოლო 1059–79 ისტორია ცალკეა დაბეჭდილი და კედრენეს შრომას ბოლოში დაერთვის. ი. ს-მ თავისი თხზულება დაგეგმა როგორც თეოფანე ჟამთააღმწერლის „ქრონოგრაფიის" გაგრძელება, რ-იც 811-ით ამთავრებს ამბების თხრობას. 811-იდან 944-მდე ი. ს. სარგებლობს ე. წ. „თეოფანეს გამგრძელებლებით", ხოლო 944 შემდგომი ამბები აღწერილი აქვს უპირატესად იმ პირველწყაროების მიხედვით, რ-ებიც ჩვენამდე მოღწეული არაა, ამიტომაც ი. ს-ს თხზულების ამ მონაკვეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესოა კედრენე-სკილიცეს შრომის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას ძის აჯანყების ამბავი, მეფე გიორგი I-ის კავშირის შესახებ აჯანყებულებთან.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

ლ. მანიავა